საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „მგტ“ გეგმავს ქ. ჭიათურაში (საჩხერის გზატკეცილი №10) არსებული მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს ექსლუატაციის პირობების ცვლილებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 5-ე მუხლის, 12-ე პუნქტის მიხედვით - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ამავე კოდექსის 7-ე მუხლის 13-ე პუნქტის მიხედვით - თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აქედან გამომდინარე, კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

1. შპს „მგტ“-ს მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს სკოპინგის ანგარიში და ელექტრონული ვერსია;
2. საქმიანობის განხორციელების ადგილის shp-ფაილები.

პატივისცემით,

დავით ჩიხლაძე

17.09.2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 13646
25 09 2019
1/ СФ
02